

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/6698
01/07/2020

6698-2-07-2-202007011416



აიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS Reformanda)
ფაქტ-მეტრის (FactCheck) რეგიონულ ანალიტიკოსს ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს
მის: ქალაქი გორი, ბერუაშვილის №12
ელექტრონული მისამართი: ninochibchiuri@gmail.com
მობ: 598 55 85 02

ქალბატონო ნინო,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2020 წლის 19 ივნისს შემოვიდა თქვენი განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №12829/2) (შემდგომში-განცხადება), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის მიწოდებას.

თქვენი განცხადების **პირველი პუნქტით** დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტსა და შპს „AGT Menegment Meslehet Tikinti Xidmetleri MMC“-ს (შემდგომში-კონტრაქტორი) შორის 2017 წლის 2 მაისს გაფორმებული SRAMP/CW/NCB-05 ხელშეკრულების თანახმად, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2017 წლის 22 მაისს და მისი დასრულების თარიღად განსაზღვრული იყო 2018 წლის 22 მაისი, სახელშეკრულებო ღირებულებით 6 155842.02 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოების განხორციელება განსაზღვრული იყო პროექტირება-მშენებლობის მეთოდოლოგიით. აღსანიშნავია, რომ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ ობიექტზე გამოვლინდა სხვადასხვა ფაქტორები, რამაც გავლენა მოახდინა სამუშაოების დროულად დასრულებაზე, კერძოდ: საპროექტო გზის ცალკეულ ნაწილებზე აუცილებელი გახდა მიწის გამოსყიდვის პროცედურების განხორციელება, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში საპროექტო გზაზე მოაწყო მიმდებარე სოფლების სასმელი წყლით მომარაგების ახალი სისტემა სათავე ნაგებობით, რის შესაბამისადაც სამუშაოების დასასრულებლად კონტრაქტორს განესაზღვრა გონივრული ვადა 2019 წლის 31 ოქტომბრამდე.

მე-2 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2019 წლის 31 ოქტომბრის შემდგომ სამუშაოების დაუსრულებლობა გამოიწვია კონტრაქტორის მხრიდან ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობამ. შესაბამისად, ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 39.3 პუნქტის საფუძველზე, კონტრაქტორს დაეკისრა პირგასამტეხლო მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე, რომლის მაქსიმალური ოდენობა ხელშეკრულების ამავე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია 10%-ით, რაც შეადგენს 615 584.20 ლარს. ამასთან, ვინაიდან 2019 წლის ოქტომბრის შემდგომ კონტრაქტორს არ წარმოუდგენია შუალედური გადახდის სერტიფიკატი, ვერ იქნა დაქვითული ზემოთ აღნიშნული თანხა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონტრაქტორს თანხა დაექვითება შუალედური გადახდის სერტიფიკატის წარმოდგენის შემდგომ.

მე-3 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტს კონტრაქტორისთვის ანაზღაურებული აქვს 3 469 524.37 ლარი, რომლის ანგარიშსწორება განხორციელდა 2017-2018-2019 წლებში.

მე-4 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სარეაბილიტაციო გზა მოიცავს 10კმ-იან მონაკვეთს, მათ შორის 2019 წლის ივნისის მდგომარეობით დასრულებული იყო 8 კმ-ზე ასფალტო-ბეტონის მოწყობა. ამ ეტაპზე კონტრაქტორი ასრულებს დარჩენილი 2კმ ასფალტო-ბეტონის მოწყობის სამუშაოებს, საგზაო ნიშნების მოწყობას, ქვათაცვენის საწინააღმდეგო ლითონის ბადეების მოწყობასა და სხვა დარჩენილ სამუშაოებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2020 წლის ზაფხულის ბოლოსთვის.

რაც შეეხება დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცედურების გატარებას, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 28.1 მუხლის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი სრულად დაასრულებს სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და მომსახურებას და აცნობებს ინჟინერს წერილობით ამის შესახებ, ზედამხედველი-ინჟინერი 21 დღის ვადაში განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას გადაბარების სერთიფიკატის გამოცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურების შემდგომ დეპარტამენტი დანიშნავს დასრულებული სამუშაოების მიმღებ კომისიას შემდგომში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური

